



გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

წესდება

ტერმინოლოგია

გაეროს გლობალური შეთანხმება: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური ინიციატივა, რომელიც კომპანიებს მოუწოდებს, თავიანთი ოპერაციები და სტრატეგიები შესაბამისობაში მოიყვანონ ათ პრინციპთან, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. გაეროს გლობალურ შეთანხმებას ჰყავს წევრი ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ორგანიზაცია ფუნქციონირებს გლობალური შეთანხმების ოფისის (GCO), გლობალური შეთანხმების ფონდისა და 60-ზე მეტი ადგილობრივი ქსელის მეშვეობით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ადგილობრივი ქსელები დამოუკიდებელი, თვითმმართველი და თვითმართვადი სუბიექტების, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, და მჭიდროდ თანამშრომლობენ გლობალური შეთანხმების ოფისთან ნიუ-იორკში.

გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი: ორგანიზაციები, რომლებიც შეუერთდნენ გაეროს გლობალურ შეთანხმებას და წვდომა აქვთ გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და აქტივობებზე.

გლობალური შეთანხმების ოფისი (GCO): გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისი ნიუ-იორკში, რომლის მეშვეობითაც მუშავდება გაეროს გლობალური შეთანხმების პოლიტიკა, სტრატეგიები და აქტივობები. აღმასრულებელი დირექტორი GCO-ს ყველაზე მაღალი რანგის თანამშრომელია და იგი უშუალოდ ექვემდებარება გაეროს გენერალურ მდივანს და გენერალური მდივნის მოადგილეს.

გლობალური შეთანხმების ფონდი (ფონდი): ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სასიცოცხლო ფინანსურ, ოპერაციულ და პროგრამულ მხარდაჭერას გაეროს გლობალური შეთანხმებისთვის და ორგანიზაციის აქტივობებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ფონდი დაარსდა 2006 წელს, ნიუ-იორკში, შტატის კანონმდებლობით, როგორც არაკომერციული კორპორაცია.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (ინგლისურად: Global Compact Network Georgia (GCNG)): საქართველოში დაარსებული არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს გლობალური შეთანხმების ოფისთან (GCO) ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, ქვეყანაში გაეროს გლობალური შეთანხმების პოპულარიზაციისა და ათ პრინციპთან ბიზნეს ოპერაციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად. ქვეყნის დონეზე, ეხმარება ინიციატივის დამკვიდრებას სხვადასხვა ეროვნულ, კულტურულ და ენობრივ კონტექსტში, ასევე პასუხისმგებელია გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილეთა ჯგუფების მართვაზე კონკრეტულ ქვეყანაში.



გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები: გაეროს გლობალური შეთანხმების ის წევრები, იურიდიული პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საქართველოში, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ავტომატურად ხდებიან გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები. ის იურიდიული პირი, რომელიც სათაო ოფისის მიერ გაირიცხება წევრობიდან, შესაბამისად აღარ ითვლება გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრად. მხოლოდ გაეროს გლობალური შეთანხმების წევრებს შეუძლიათ გახდნენ გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სამდივნო (GCNG Secretariat): GCNG გუნდი, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გლობალური შეთანხმების სტრატეგიებისა და აქტივობების განხორციელებაზე ადგილობრივად, მათ შორის, ქსელში ახალი ორგანიზაციების გაწევრიანებაზე, ქსელში მოქმედი წევრების აქტივობებში ჩართულობაზე და GCO-სთან კოორდინაციასა და თანამშრომლობაზე.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გამგეობა (GCNG Board): ფიზიკური პირები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ GCNG-ს სამდივნოს ოპერაციებს.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი (GCNG ED): GCNG სამდივნოს ყველაზე მაღალი რანგის პირი.

GCNG გენერალური ასამბლეა: პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრ ორგანიზაციებს აქვთ საშუალება გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. აღნიშნული შეხვედრა ხშირად მოიხსენიება, როგორც წლიური გენერალური ასამბლეა.

გაეროს გუნდი ქვეყნის დონეზე: გაეროს უმაღლესი დონის უწყებათაშორისი საკოორდინაციო და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ადგილობრივ დონეზე, რომელსაც ხელმძღვანელობს გაეროს მუდმივი კოორდინატორი, გაეროს გენერალური მდივნის დანიშნული წარმომადგენელი.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მისია და ხედვა

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) მისიაა პროგრესული მომავლის შექმნა მდგრადი მიდგომების სტიმულირებით და ბიზნესის ჩართულობით.

აღნიშნულის მისაღწევად, GCNG ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს:

ა) განახორციელონ საკუთარი საქმიანობა ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, ათი პრინციპის შესაბამისად;

ბ) განახორციელონ სტრატეგიული ქმედებები უფრო ფართო საზოგადოებრივი მიზნების განსავითარებლად, ისეთების, როგორც არის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, განსაკუთრებით, თანამშრომლობისა და ინოვაციის ნაწილში.



GCNG-ის ხედვაა საქართველოში ადამიანთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

მუხლი 2. მიზნები

GCNG-ის მიზნებია:

- ა) გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის ხელშეწყობა ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროებში;
- ბ) ბიზნესის მობილიზება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მხარდასაჭერად;
- გ) გაეროს გლობალური შეთანხმების სტრატეგიით გათვალისწინებული პროგრამების ადგილობრივად განხორციელებისა და გლობალური შეთანხმების საქართველოს წევრების აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- დ) საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციებში მდგრადი და პასუხისმგებლიანი პრაქტიკის ხელშეწყობა;
- ე) გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის ზრდის ხელშეწყობა;
- ვ) კორპორაციული მდგრადობის ეროვნულ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა და განხორციელების ხელშეწყობა;
- ზ) სექტორთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის მისაღწევად;
- თ) გაეროს გლობალური შეთანხმების ბრენდის კეთილსინდისიერების დაცვა და ეფექტური მართვა;
- ი) საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანა შემდეგ სტანდარტებთან: „გაეროს გლობალური შეთანხმების გზა - ღირებულებები და ქცევის მოდელი“ და ადგილობრივი ქსელების ხარისხის სტანდარტი.

მუხლი 3. GCNG საქმიანობა

დასახული მისიის მისაღწევად GCNG-ს საქმიანობა შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

ა) მდგრადობის შესახებ განათლების და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

GCNG საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მდგრადობის მიმართულებით, შეიმუშაონ მდგრადობის მიზნები და მიაღწიონ პროგრესს. GCNG სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს, გაეროს გლობალური შეთანხმების აქსელერაციის პროგრამებს, გამოცდილების გაზიარების სემინარებს, კონფერენციებსა და პროფესიულ სასერტიფიკატო პროგრამებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს.

ბ) წევრი ორგანიზაციების მხარდაჭერა კორპორაციული მდგრადობის საკითხზე

GCNG მხარს უჭერს წევრ ორგანიზაციებს კორპორაციული მდგრადობის სტანდარტის, გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის, დანერგვაში. ორგანიზაცია სთავაზობს ბიზნეს სექტორს საქმიანობის თვითშეფასების ინსტრუმენტებს და მხარს უჭერს მდგრადობის ნიშნულების დადგენაში, ხარვეზების გამოვლენასა და კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებაში. GCNG ეხმარება ორგანიზაციებს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგებაში, ასევე ბიზნეს პოლიტიკაში, გეგმებსა და ყოველდღიურ ოპერაციებში მდგრადობის საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებაში.

გ) პარტნიორობის ხელშეწყობა



გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი აძლიერებს მულტისექტორულ პარტნიორობას მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030-ის მიღწევის მიზნით. ორგანიზაცია წარმატებით აკავშირებს კომპანიებს სამოქალაქო-საზოგადოების ორგანიზაციებთან და სამთავრობო უწყებებთან, ამასთან, უზრუნველყოფს მსგავსი ინტერესების მქონე კომპანიების დაკავშირებას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

დ) ეროვნული პოლიტიკის დონეზე კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობა

GCNG მხარს უჭერს სახელმწიფო უწყებებს კორპორაციული მდგრადობის სტანდარტების ასახვაში ეროვნულ კანონმდებლობასა და სტრატეგიულ დოკუმენტებში. ორგანიზაცია ეხმარება მთავრობას, მიიღოს შესაბამისი პოლიტიკის მექანიზმები, ინსტრუმენტები და სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევას ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების, გაეროს 2030 დღის წესრიგის და სხვა საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტების შესაბამისად. GCNG ხელს უწყობს 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევას მხარეთა მონაწილეობის გაზრდითა და მათ შორის კოორდინაციის ფასილიტაციის გზით. GCNG დამატებით ხელს უწყობს ქვეყანაში საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგს.

ე) ლიდერობის აღიარება მდგრადობის მიმართულებით

GCNG ახალისებს ბიზნესის პასუხისმგებლიან ქცევას სხვადასხვა აღიარებითი აქტივობებით და ხაზს უსვამს კომპანიების მიღწევებს მდგრადი განვითარების მიმართულებით.

მუხლი 4. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრობა

4.1 იურიდიულ პირს, რომელსაც სურვილი აქვს გახდეს GCNG-ის წევრი, წევრობის განაცხადი უნდა შეავსოს გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე და გაეროს გლობალური შეთანხმების რეგულაციის შესაბამისად გახდეს გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი ორგანიზაცია. გაეროს გლობალური შეთანხმების ის წევრი ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საქართველოში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ავტომატურად ხდებიან GCNG-ის წევრი.

4.2 მხოლოდ გაეროს გლობალური შეთანხმების წევრებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან როგორც იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლიათ გახდნენ გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები.

4.3 ის იურიდიული პირი, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისის მიერ გაირიცხება წევრობიდან, შესაბამისად აღარ ითვლება გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრად.

4.4 GCNG სამდივნო აწარმოებს წევრთა რეესტრს, სადაც აღირიცხება გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრირებული არიან როგორც იურიდიული პირები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. რეესტრი შესაბამისობაშია და პერიოდულად თანხმდება გლობალური შეთანხმების ოფისთან.



თავი II. GCNG მმართველობა

მუხლი 5. გენერალური ასამბლეის სხდომები

5.1 გენერალური ასამბლეა შედგება გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ყველა წევრისგან.

5.2 გამგეობის თავმჯდომარის მოწვევით გენერალური ასამბლეა მოიწვევა ყოველწლიურად. მოწვევა ეგზავნებათ GCNG-ის წევრებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

5.3 GCNG-ის წევრებს მოწვევა გენერალურ ასამბლეაზე ეგზავნებათ სულ მცირე 7 დღით ადრე და მათ ულფება უნდა ჰქონდეთ მიმდინარე წესდების შესაბამისად დაესწრონ სხდომას და საჭიროებისამებრ ხმა მისცენ კრებაზე განსახილველ საკითხებს.

5.4 გენერალური ასამბლეის სხდომებს უძღვება გამგეობის თავმჯდომარე. თუ გამგეობის თავმჯდომარეს არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს ეს მოვალეობა, გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი გამგეობის წევრი უხელმძღვანელებს ასამბლეას.

5.5 გამგეობა, აღმასრულებელ დირექტორთან ერთად, ადგენს გენერალური ასამბლეის სხდომების განრიგს და დღის წესრიგს და აცნობებს ასამბლეის ყველა წევრს ელექტრონული ფოსტით ან წერილის საშუალებით.

5.6 გენერალური ასამბლეის ნებისმიერ წევრს შეუძლია შესთავაზოს თავმჯდომარეს დღის წესრიგის გარეთ არსებული საკითხების განხილვა, იმ პირობით, რომ წერილობით აცნობებს აღნიშნულ საკითხებს გამგეობას მინიმუმ ერთი კვირით ადრე ასამბლეამდე.

5.7 გენერალური ასამბლეის შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული კონფერენციის ან მსგავსი საკომუნიკაციო აღჭურვილობის საშუალებით, რომელიც საშუალებას მისცემს შეხვედრაში მონაწილე ყველა პირს შეხვედრის განმავლობაში მოუსმინონ ერთმანეთს და ისაუბრონ ერთმანეთთან.

5.8 გენერალური ასამბლეა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე სხდომების ჩასატარებლად წლის განმავლობაში, გამგეობის მიერ ან გენერალური ასამბლეის წევრების სულ მცირე ოცდახუთი პროცენტის (25%) მოთხოვნით.

5.9 გენერალური ასამბლეის საქმიანობა მოიცავს:

- ა) GCNG-ის ყოველწლიური სამუშაო გეგმის განხილვა და უკუკავშირის მიწოდებას;
- ბ) GCNG-ის ფინანსური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის გაცნობას;
- გ) GCNG-ის გამგეობის არჩევნებში მონაწილეობას;
- დ) GCNG წევრების ან გამგეობის წევრების მიერ წამოჭრილი თემების განხილვას;
- ე) მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შორის ინფორმაციის გაცვლას მდგრადობის საკითხებზე.



5.10 გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნას ხმის უფლების არმქონე პირები, დამკვირვებლის სტატუსით.

მუხლი 6. გენერალური ასამბლეის კვორუმი და კენჭისყრა

6.1 კვორუმის მისაღწევად გენერალური ასამბლეის სხდომას უნდა ესწრებოდეს, ფიზიკურად ან დისტანციურად, GCNG წევრთა უმრავლესობა (50%-ზე მეტი). თუ კვორუმი ვერ იქნა მიღწეული პირველი მოწვევით, გენერალურ ასამბლეაზე დასწრების მეორე მოწვევა ორი კვირის ვადაში უნდა გაიგზავნოს GCNG-ს წევრებთან და გენერალური ასამბლეა უნდა ჩატარდეს დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

6.2 გენერალურ ასამბლეაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით (სულ მცირე დამსწრე წევრების ნახევარს დამატებით ერთი ხმა) ხელის აწევით, წერილობითი ან ელექტრონული კენჭისყრით. კენჭისყრის დროს, GCNG-ის თითოეულ წევრ ორგანიზაციას აქვს ერთი ხმის უფლება.

6.3 წევრებს შეუძლიათ დაესწრონ და კენჭი უყარონ რწმუნებულების მეშვეობით, რომელიც შედგენილი იქნება წერილობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4 გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აისახოს სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის წევრი, რომელიც თავმჯდომარეობს გენერალურ ასამბლეას.

მუხლი 7. გამგეობის შემადგენლობა

7.1 GCNG-ს მმართველ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომელიც შედგება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 9 წევრისგან.

7.2 გამგეობაში ყველა ფიზიკური პირი წარმოადგენს GCNG-ის წევრ ორგანიზაციას, უკავია აღნიშნულ ორგანიზაციაში აღმასრულებელი ან მენეჯერული პოზიცია, და არჩეული არის გენერალური ასამბლეის მიერ. თუ GCNG-ის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღარ არის მისაღები წევრისათვის რაიმე მიზეზით ან მან დატოვა ორგანიზაცია, GCNG-ის წევრს შეუძლია შეცვალოს წარმომადგენელი, იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა დაადასტურებს ამას ხმათა ორი მესამედით.

7.3 გამგეობას შეუძლია დაუშვას 1 დამოუკიდებელი წევრი გამგეობაში, რომელიც არ წარმოადგენს რომელიმე ორგანიზაციას, თუ მას შეუძლია კონკრეტული ექსპერტიზა მიაწოდოს გამგეობას. დამოუკიდებელი წევრი ექვემდებარება გენერალური ასამბლეის მიერ არჩევას ან დამტკიცებას.

7.4 გამგეობის წევრთა მინიმუმ 50% ნებისმიერ დროს უნდა წარმოადგენდეს ბიზნესს ან ბიზნეს ასოციაციას ან სხვაგვარად წარმოადგენდეს ბიზნეს საზოგადოებას.

7.5 თანამშრომელი, (ა) იმ ორგანიზაციიდან, რომელიც არ არის გლობალური შეთანხმების წევრი ან (ბ) კომპანიიდან, რომელიც არის გლობალური შეთანხმების წევრი, მაგრამ არ აქვს აქტიური



სტატუსი (მაგ: წლიური ანგარიშის წარუდგენლობის გამო ან საჭირო ფინანსური შენატანის დროულად განუხორციელებლობის გამო) არ შეიძლება იყოს გამგეობაში.

7.6 გამგეობაში ნებისმიერ დროს უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი არასამეწარმეო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

7.7 გამგეობის წევრები არ იღებენ ფულად კომპენსაციას GCNG-ისგან.

7.8 GCNG-ის აღმასრულებელი დირექტორი (ED) შეიძლება შეუერთდეს გამგეობას, როგორც *ex-officio* წევრი, მაგრამ არ შეიძლება აირჩეს გამგეობის თავმჯდომარედ. თუ აღმასრულებელი დირექტორი არის გამგეობის წევრი, ის თავს არიდებს დისკუსიებსა და გადაწყვეტილებებს, რამაც შეიძლება შექმნას ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის დირექტორის საქმიანობასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

7.9 დამკვირვებლის სტატუსით გამგეობას შეუძლია შემოუერთდეს გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისის ან გაეროს სხვა წარმომადგენელი, რომელიც რეკომენდებულია გაეროს მუდმივი კოორდინატორის (RC) მიერ საქართველოში, ასევე გლობალური შეთანხმების ოფისის (GCO) წარმომადგენელი. აღნიშნულ პირებს არ უნდა ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება და უნდა იყვნენ მხოლოდ დამკვირვებლის ან მრჩეველის სტატუსით.

მუხლი 8. გამგეობის წევრთა არჩევა

8.1 გამგეობის არჩევნები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ გენერალურ ასამბლეაზე.

8.2 გენერალური ასამბლეის დაწყებამდე, სულ მცირე, 1 თვით ადრე, ღია მოწოდება კეთდება გაეროს გლობალური შეთანხმების ყველა წევრისთვის საქართველოში, რომლებსაც სურთ თავიანთი კანდიდატურის წარდგენა. გენერალურ ასამბლეაზე გამგეობის ახალი კანდიდატების სიის წარდგენამდე სულ მცირე 14 დღით ადრე, GCNG-მ უნდა აცნობოს გლობალური შეთანხმების ოფისს (GCO) კანდიდატების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს GCO-ს განახორციელოს კანდიდატების საფუძვლიანი შემოწმება და გასცეს რეკომენდაცია კანდიდატებთან დაკავშირებით.

8.3 უნდა განხორციელდეს გამგეობის კანდიდატების საფუძვლიანი შემოწმება (due diligence), რათა დადასტურდეს, რომ მათ აქვთ საჭირო დრო და რესურსები თავიანთი პასუხისმგებლობების შესასრულებლად და დადგინდეს გამგეობაში მათთვის ინტერესთა შესაძლო კონფლიქტი.

8.4 კენჭისყრა ტარდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. GCNG-ის თითოეულ წევრს, რომელიც შედის გენერალურ ასამბლეაში, უნდა ჰქონდეს ერთი ხმა, რომლითაც რომლითაც გამოხატავს მხარს უჭერს გამგეობის წევრობის კანდიდატს თუ არა. თითოეულმა გამგეობის კანდიდატმა, იმისთვის რომ იქნეს არჩეული გამგეობის წევრად, უნდა მიიღოს გენერალური ასამბლეის ხმათა უმრავლესობა.

8.5 იმ შემთხვევაში, თუ მანდატებზე მეტი კანდიდატია, გამარჯვებულები იქნებიან ყველაზე მეტი ხმის მიმღები კანდიდატები. ორ კანდიდატს შორის ხმების თანაბარი შედეგის შემთხვევაში,



გამარჯვებულად ითვლება ყველაზე ხანგრძლივი წევრობის მქონე კანდიდატი. თუ თანაბარი შედეგი შენარჩუნდება, გამარჯვებული შეირჩევა წილისყრით.

8.6 არჩევნების შედეგები უნდა გამოცხადდეს ხმების დათვლის დასრულებისთანავე.

8.7 გამგეობაში ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში, ახალი წევრი შეიძლება აირჩეს მორიგ ან რიგგარეშე გენერალურ ასამბლეაზე, გამგეობის მიერ ნომინაციების გამოცხადების შემდეგ. ვაკანსიები შეიძლება წარმოიშვას შემდეგი მიზეზების გამო:

- ა) გამგეობის წევრი თანამდებობას ტოვებს ვადის დასრულებამდე და UNGC-ის წევრი კომპანია, რომელსაც წარმოადგენს წევრი, არ დანიშნავს ახალ წარმომადგენელს გამგეობაში;
- ბ) ორგანიზაცია, რომელსაც გამგეობაში წევრი წარმოადგენს, აღარ არის გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი;
- გ) გამგეობის წევრის გარდაცვალებისას ან კანონის შესაბამისად;
- დ) სასამართლოს განაჩენის საფუძველზე გამგეობის წევრის მიერ განზრახვი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში;
- ე) გამგეობის წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებენ გამგეობის ხმების უმრავლესობით.

მუხლი 9. გამგეობის დანიშვნები

გამგეობაში სრულდება შემდეგი მუდმივი მოვალეობები: გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობამ ასევე შეიძლება დაადგინოს სხვა თანამდებობები ან პასუხისმგებლობები.

მუხლი 10. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადა

გამგეობის თითოეული წევრის უფლებამოსილება არის 2 წელი, თუმცა დასაშვებია ხელახალი არჩევა ვადის ამოწურვის შემდეგ. გამგეობის წევრის ხელახალი არჩევასა ზედიზედ ვადების მაქსიმალური რაოდენობა 3 წელია, შესაბამისად გამგეობაში წევრი შეიძლება იყოს ჯამურად 6 წლის განმავლობაში.

მუხლი 11. გამგეობის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

11.1 გამგეობის წევრების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობები მოიცავს:

- ა) აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება. გამგეობა ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობას, ავალებს მას იმოქმედოს გამგეობის სახელით ყველა ასპექტში, რაც ეხმარება ქსელს თავისი მიზნების მიღწევაში. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე;
- ბ) GCNG-ის ზედამხედველობა, საქმიანობის, მმართველობის, ხედვის, მისიის, სტრატეგიისა და ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით;
- გ) წესდების, შინაგანაწესის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების, აგრეთვე მათში შეტანილი ცვლილებების დამტკიცება და რეკომენდაციების გაცემა;
- დ) წლიური სამუშაო გეგმის, ბიუჯეტისა და ფინანსური ანგარიშგების განხილვა და დამტკიცება;



- ე) გაეროს გლობალური შეთანხმების, მისი ათი პრინციპის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების და ბიზნესისთვის მათი ღირებულების სიღრმისეულად გაცნობიერება;
- ვ) კოლეგებისა და GCNG წევრი ორგანიზაციების პატივისცემა და ნდობა;
- ზ) ორგანიზაციის ფინანსური რესურსების მოცულობის გაზრდის გზების ძიება და განხილვა, GCNG-ის ეფექტური და უწყვეტი მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- თ) ორგანიზაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის განხილვა და რეკომენდაციების მიწოდება;
- ი) წერილობითი საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა, რომელიც წარმოდგენილია GCNG-ის სამუშაო ადგილზე შევიწროების პოლიტიკით განსაზღვრული ფორმალური პროცედურის მიხედვით;
- კ) გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელის გამგეობის აქტივობებისთვის სათანადო დროის დათმობა და გამოყოფა.

11.2 გამგეობა იკრიბება რეგულარულად, მინიმუმ წელიწადში 4-ჯერ. გამგეობის შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ წევრებისთვის მისაღებ ადგილას, დისტანციურად ან ჰიბრიდულ ფორმატში. გამგეობის სხდომას იწვევს თავმჯდომარე ან გამგეობის სხვა წევრი ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

11.3 გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რისი გადაწყვეტაც არ წარმოადგენს აღმასრულებელი დირექტორის ან გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებას მიმდინარე წესდების შესაბამისად.

11.4 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. წესდებაში ცვლილებების ან /და დამატებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის წევრთა 2/3-ით. GCNG-ის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის მოქმედ წევრთა სრული შემადგენლობით.

11.5 გამგეობის ყოველი სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე.

მუხლი 12. ზოგადი ქცევის სახელმძღვანელო პრინციპები

12.1 გამგეობის წევრებმა უნდა დაიცვან ეთიკური და პასუხისმგებლიანი ქცევის უმაღლესი სტანდარტები თავიანთი როლის შესრულებისას და მოიქცნენ ისე, რომ გამგეობა, GCNG ან გაეროს გლობალური შეთანხმება არ იყოს დისკრედიტებული.

12.2 გამგეობის წევრებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სტანდარტებით: „გაეროს გლობალური შეთანხმების გზა - ღირებულებები და ქცევის მოდელი“ და „ადგილობრივი ქსელის ხარისხის სტანდარტები“.

12.3 გამგეობის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ GCNG-ის წევრი ორგანიზაცია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, უწყვეტად ინარჩუნებდეს საკუთარ სტატუსს კარგ მდგომარეობაში.



12.4 გამგეობის წევრებმა ყოველთვის უნდა იმოქმედონ სათანადო სიფრთხილითა და მონდომებით და GCNG-ის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე (არა მათი ინდივიდუალური ინტერესებით ან საკუთარი ორგანიზაციის ინტერესებით) და გამგეობის არცერთ წევრს არ შეუძლია გამოიყენოს თავისი პოზიცია იმ ორგანიზაციის კომერციული ან პოლიტიკური ინტერესების გასამდიერებლად, რომელშიც მუშაობენ. მათ ყოველთვის უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქმედებები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის ფიდუციურ მოვალეობებს; და

12.5 გამგეობა აწარმოებს წევრების და აღმასრულებელი დირექტორის ინტერესთა კონფლიქტის რეესტრს და იმ შემთხვევაში თუ ინტერესთა კონფლიქტი საფრთხეს უქმნის GCNG-ის ან უფრო ფართო გაეროს გლობალური შეთანხმების ინტერესებს ან ბრენდს, ინფორმაციას აწვდის GCO-ს. გამგეობის ყველა წევრმა უნდა განიხილოს ყოველი შეხვედრის დღის წესრიგი და განაცხადოს ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, და გათავისუფლდეს იმ განხილვებისგან, რომელიც ქმნის კონფლიქტს.

მუხლი 13. გამგეობის თავმჯდომარე

13.1 გამგეობა თავმჯდომარედ ირჩევს მის ერთ-ერთ წევრს. თავმჯდომარის უფლებამოსილება არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს, მაგრამ თავმჯდომარე შეიძლება ხელახლა აირჩეს დამატებითი ვადით, არაუმეტეს ზედიზედ ორი ვადით. GCNG გამგეობის თავმჯდომარე:

- ა) წარმოადგენს გამგეობას ღონისძიებებზე/შეხვედრებზე;
- ბ) უზრუნველყოფს, აღმასრულებელი დირექტორის დახმარებით, რომ ყველა წევრმა მიიღოს ზუსტი, დროული, შესაბამისი და ნათლად ჩამოყალიბებული ინფორმაცია, აგრეთვე გამგეობის სხდომების დღის წესრიგი;
- გ) თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს, და საკმარის დროს ანიჭებს წევრებს კომპლექსური ან სადავო საკითხების დეტალურად განხილვისთვის;
- დ) აღმასრულებელ დირექტორთან ერთად ამზადებს გამგეობის სხდომების დღის წესრიგს, რომელიც საშუალებას აძლევს გამგეობის წევრებს სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღონ გადაწყვეტილება;
- ე) გამგეობის სხდომებზე ხელს უწყობს ღია და კონსტრუქციულ გარემოს დისკუსიისთვის და მოქმედებს, როგორც გამგეობის სპიკერი, როდესაც ეს აუცილებელია წევრებს შორის ნებისმიერი კონფლიქტის მოსაგვარებლად;
- ვ) თავმჯდომარეობს გენერალურ ასამბლეას;
- ზ) აღმასრულებელ დირექტორთან ერთად ყოველწლიურად ხელს აწერს შეთანხმებას გლობალური შეთანხმების ოფისთან (გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისი) და გლობალური შეთანხმების ფონდთან. გარდა აღნიშნული შეთანხმებისა, აღმასრულებელი დირექტორი არ საჭიროებს თავმჯდომარის თანა-ხელმოწერას GCNG-ის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა ქმედებებისთვის.

13.2 გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის, ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის, ან უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შესასრულებლად გამგეობა ირჩევს ახალ თავმჯდომარეს 2 წლის ვადით გამგეობის სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. თუ გამგეობის ხმები თანაბრად იყოფა, საბოლოო



გადაწყვეტილებას იღებს იმ ორგანიზაციის წარმომადგენელი გამგეობის წევრი, რომელიც ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში იყო გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი.

მუხლი 14. აღმასრულებელი დირექტორი

14.1 აღმასრულებელი დირექტორი არის GCNG-ის აღმასრულებელი ხელმძღვანელი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელიც ინიშნება გამგეობის მიერ და ანგარიშვალდებულია გამგეობასთან.

14.2 აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 3 წლით. აღმასრულებელი დირექტორის ვადის ამოწურვის შემდეგ, გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ის შეიძლება დარჩეს თანამდებობაზე ახალი აღმასრულებელი დირექტორის არჩევამდე და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე.

14.3 აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე ერთიდაიგივე პირი შეიძლება აირჩეს ერთზე მეტი ვადით.

14.4 აღმასრულებელი დირექტორი ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:

- ა) ზედამხედველობს და უზრუნველყოფს GCNG-ის სტრატეგიის, ღირებულებითი განაცხადის და მასთან დაკავშირებული პროგრამების შესრულებას;
- ბ) წარმოადგენს GCNG-ს გაეროს გლობალური შეთანხმების ფარგლებში, ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის კომპანიებთან, სახელმწიფო ინსტიტუტებთან, გაეროსთან, მედიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და აკადემიურ დაწესებულებებთან;
- გ) ურთიერთობს გამგეობასთან და მიმდინარე წესების შესაბამისად წარუდგენს ანგარიშებს;
- დ) მართავს GCNG-ის სამდივნოს ყოველდღიურ ოპერაციებს, მათ შორის, ადამიანურ რესურსებს, განკარგავს ფულად სახსრებს და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე; უზრუნველყოფს მონაწილეთა კომუნიკაციას, ღონისძიებების მენეჯმენტსა და უზრუნველყოფს ორგანიზაციის სახსრების მოზიდვას; ხელს აწერს ორგანიზაციის სახელით შესაბამის ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტებსა და ხელშეკრულებებს;
- ე) ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციების გაწევრიანებისა და შენარჩუნების აქტივობებს, მათ შორის, GCNG-ის ღირებულებითი განაცხადის გაცნობას მათთვის. ზედამხედველობს GCNG სამდივნოს მიერ გლობალური შეთანხმების წევრი კომპანიების და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერას მდგრადობის ანგარიშების მოთხოვნების დაკმაყოფილებაში;
- ვ) ინარჩუნებს რეგულარულ კომუნიკაციას GCO-სთან, პასუხობს GCO-ს კონსულტაციებისა და ანგარიშების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას ადგილობრივი ქსელის ხარისხის სტანდარტებთან და იცავს გაეროს გლობალური შეთანხმების რეპუტაციასა და ბრენდს;
- ზ) ხელმძღვანელობს სტრატეგიულ პარტნიორობას გაეროსთან და სხვა უწყებებთან;
- თ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე წესდებას, ორგანიზაციის შინაგანაწესს და არსებულ კანონმდებლობას.



თავი III. GCNG ქონება და დაფინანსება

მუხლი 15. GCNG-ის საკუთრება და მისი ფორმირების წყაროები

15.1 GCNG-ის აქტივებისა და შემოსავლების წყაროებია:

- ა) დონაციის გზით მიღებული მატერიალური და არამატერიალური აქტივები;
- ბ) GCNG-ის ქონების გამოყენებით მიღებული შემოსავლები;
- გ) გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი ორგანიზაციებისგან მიღებული საწევრო მოსაკრებელი;
- დ) დონორების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტები;
- ე) სოციალური მეწარმეობით მიღებული შემოსავლები;
- ვ) GCNG-ის მიზნებისთვის წესდებით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი, რაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
- ზ) სხვა სახსრები, რომელთა მიღებაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.2. GCNG-ის ქონება ხმარდება მხოლოდ GCNG წესდებით დასახული მიზნების განხორციელებას.

15.3. GCNG-ის აქტივების/ფინანსური მდგომარეობის შესახებ აუდირებული წლიური ანგარიში მზადდება შესაბამისი ფორმით და წარედგინება გამგეობას.

მუხლი 16. GCNG-ის სამეწარმეო საქმიანობა

16.1. თავისი მიზნების მისაღწევად GCNG-ს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია განახორციელოს დამატებითი ხასიათის კომერციული/სამეწარმეო საქმიანობა.

16.2. შემოსავლები GCNG-ის კომერციული (სამეწარმეო) საქმიანობიდან ემატება მის ქონებას და გამოიყენება GCNG-ის მიზნების მისაღწევად. აღნიშნული შემოსავლების განაწილება, მათ შორის, GCNG დონორებსა და გამგეობის წევრებზე დაუშვებელია.

თავი IV. GCNG-ის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 17. GCNG-ის რეორგანიზაცია

17.1 GCNG-ის რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, ტრანსფორმაცია) ხორციელდება გამგეობის გადაწყვეტილებით, კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.

17.2 იმ შემთხვევაში, თუ წლიური შეთანხმება GCNG-ს, GCO-სა და გაეროს გლობალური შეთანხმების ფონდს შორის აღარ არის სახეზე ან არ არის ძალაში GCNG-სა და გლობალური შეთანხმების ოფისს (GCO) და გლობალური შეთანხმების ფონდს შორის, ამას მოჰყვება რეორგანიზაცია და რებრენდინგი.



მუხლი 18. გადაწყვეტილება ლიკვიდაციის შესახებ

18.1 GCNG წევრს საქმიანობას რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით.

18.2 ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ახორციელებს გამგეობა, კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.

18.3 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების მართვა შეიძლება (გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად):

- ა) GCNG-ის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ;
- ბ) მსგავსი მიზნებისა და საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1 წინამდებარე წესდება ამოქმედდება გამგეობის წევრთა მიერ წესდებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ კრების ოქმის რეგისტრაციისთანავე.

19.2 თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ძალადაკარგულად იქნა აღიარებული, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების მოქმედებაზე.

19.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კანონს.